საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№48 (6274) ხუთშაბათი 19 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

დავეშუროთ კარგად ნოვნული ამინდებს, აგროვადებში დავამთავროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დღეები სოფლად

მოსავლის ბედი დღეს წყდება

ვერა და ვერ აეწყო საქმე ცაგერის კოლმეურნეობაში. ჯერაც ვერ დავადგინეთ რამდენია სახნავ-სათესი, ანდა რას შეადგენს საზოგადოებრივი ზვარის ზუსტი ფართობი, რაც იმას უნდა მივაწეროთ, რომ უკანასკნელი წლებია ყოველ გაზაფხულზე მრავლდება დამეწყრილ ზონაში მოხვედრილთა ოჯახები, არიან ისეთებიც, რომლებსაც საშიშროება არ ემუქრებათ, მაგრამ თადარიგს მაინც იჭერენ და საიმედო ადგილს ეძებენ დასაფუძნებლად.

სამოსახლოდ კი აბა სადაა თავისუფალი ადგილები, ისევ და ისევ კოლმეურნეობის ზვარი, ბალი, თუ სასიმინდე მინდორი უნდა გამოეყოთ. ამასთან საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი იმანაც შეაფერხა, რომ კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მსურველები არიან და ამ საქმესაც მიხედვა უნდა.

ასე რომ სამარცვლედ ჯერჯერობით 100 ჰექტარამდე ფართობს ვვარაუდობთ. თუმცა ჩვეულებრივზე დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეუდგნენ საქმეს მექანიზატორები ოლეგ სალინაძე, მალხაზ ლიპარტელიანი, სოზარ ჩიქოვანი, ხოლო ბაკურ კოპალიანი პატარა ტრაქტორით შეუდგა ახალშენ ზვარში რიგთაშორისების დამუშავებას.

ასე რომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საგაზაფხულო სამუშაოების გასააქტიურებლად ყველაფერი კეთდება ცაგერის კოლმეურნეობაში.

თ. ჩოგბოლიანი.

ფოკუსშია ლიტვა

მოვლენათა განვითარება ლიტვაში დასავლეთის საინფორმაციო საშუალებათა ერთ-ერთი მთავარი თემაა. აღნიშნავენ, რომ დღეს პარლამენტი და მთავრობა განიხილავენ პასუხს საბჭოთა ხელმძღვანელობის წერილზე, რომ გააუქმონ მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კონსტიტუციას, და აღადგინონ რესპუბლიკაში 1990 წლის 10 მარტამდელი მდგომარეობა. ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლანდსბერგისმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: ჩვენგან ძველებურად შეუძლებელს მოელიან, ეს არის საშუალება გადასდონ მოლაპარაკება და საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს არ გვსურდეს მოლაპარაკების დაწყება. საბჭოთა კავშირი ლიტვის წინააღმდეგ დღემდე ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ომს აწარმოებდა, ახლა კი ეკონომიკურ ომს იწყებს. მან თქვა, რომ ჯერჯერობით არ იციან, რა ხასიათის იქნება ბლოკადა — მთლიანი, ნაწილობრივი, თუ იგი ლიტვის სახალხო მეურნეობის სფეროს ცალკეულ შეზღუდვებს შეეხება. ლანდსბერგისმა დასძინა, რომ ლიტვასაც შეუძლია შეუქმნას ზოგიერთი გართულება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას, არ მიაწვდის ამა თუ იმ პროდუქციას. ჩვენ, განაგრძო მან, დღემდე ვცდილობდით მთლიანად შეგვესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები. ჩვენი პოზიცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შერბილებულია. დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მიმოხილველი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მოლაპარაკების პირობად გამოცხადდეს ლიტვის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების მოქმედების დროებით შეჩერება. აშშ სენატის დემოკრატიული უმრავლესობის და რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერებმა ჯ. მიტჩელმა და რ. დოულმა კვირას ტელევიზიით განაცხადეს, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ლიტვის მიმართ ძალის გამოყენებას, საჭიროა დიალოგი. ამასთან ორივემ გამოთქვა რწმენა, რომ ლიტვის ამბები არ მოახდენს ზემოქმედებას უმოკლესი დონის შეხვედრაზე, იქ პრეზიდენტმა ბუშმა უნდა გამოთქვას შეერთებული შტატების უკმაყოფილება ლიტვის მიმართ სანქციების გამოყენების შემთხვევაში. ორივემ გამოხატა დაინტერესება, რომ წარმატებით განხორციელდეს მიხეილ გორბაჩოვის რეფორმები. ორატორებმა დასძინეს, რომ ლიტვის სიტუაციამ არ უნდა მოახდინოს ზემოქმედება შეიარაღების კონტროლის მოლაპარაკების სფეროში, იგი გრაფიკის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს.

ჩამორჩენის დასაძლევად

გაზაფხულის ყოველი დღის მაქსიმალურად გამოყენება მომავალი უხვი მოსავლის საწინდარია და ამიტომაც ნაყოფიერი შრომაა საჭირო.

ლასურიაშის კოლმეურნეობაში სამარცვლე სიმინდს 170 ჰექტარი დაეთმობა, სასილოსეს — 16 ჰექტარი. მექანიზატორები ელგუჯა ახვლედიანი, სამსონ ირემაძე, ანზორ მეშველიანი და ნოდარ კენჭაძე დეხვირისა და ჭალის მინდვრებში სიმინდის მოსავლისათვის ხნულს ამზადებენ. მათ კარგად ესმით, რომ მექანიზატორი ხვნა-თესვის ორგანიზებულად წარმართვისათვის მთავარი ფიგურაა და გულმოდგინე გარჯა მართებთ ჩამორჩენის დასაძლევად და მიცემული დავალების შესასრულებლად.

ბ. ბაქრაძე.

მეაბრეშუმეები ყურადღებას ითხოვენ

ამას წინათ გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციამ სოფელ ისუნდრიდან მეაბრეშუმეთა ერთობლივი განცხადება მიიღო, რომელშიც ვკითხულობთ — მოგეხსენებათ, რა ძნელია თუთის ფოთლის ნაკლებობის პირობებში გამოკვება და სახელმწიფოს მიჰყიდო დიდი რაოდენობით აბრეშუმის პარკი, ჩვენმა სოფელმა დიდი შრომის ფასად შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გასული წლის გეგმა, მაგრამ გული გვწყდება, რომ ჩვენზე არ ტარდება მატერიალური წახალისება, არ მოგვცეს პრემია აბრეშუმის პარკის გეგმის გადამეტებით შესრულების გამო. მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილია, რომ უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას 150 პროცენტით მიეცა ფასდანამატი, რომელიც უნდა მოხმარდეს ამ დარგის განვითარებას, თუთის ნერგის შეძენას, მოვლასა და მშრომელთა წახალისებას. საბჭოთა მეურნეობამ 2250 კილოგრამი აბრეშუმის პარკის წარმოებისათვის მიიღო ძირითადი ანაზღაურება 21175 მანეთი, გარდა ამისა ფასდანამატის სახით — 33817 მანეთი... ასე რომ მას ამ დარგიდან საკმაოდ დიდი მოგება ხვდა წილად. თუ კი ჩვენზე პრემია არ გაიცა, უარს ვამბობთ მომავალ სეზონში აბრეშუმის ჭიის გამოკვებაზე.

გულო მანდარია, ნუნუ კუხალაშვილი, ჟენია აკობიძე...

(სულ 11 მეაბრეშუმე)

აღნიშნულ განცხადებაზე რედაქციამ მიიღო პასუხი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ. რაიაბრეშუმის დირექტორი ა. თაბგაძე რედაქციას ატყობინებს, რომ მეაბრეშუმეობის დარგის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო ეხმარება საზოგადოებრივ მეურნეობებს ფასდანამატის გაცემის სახით, რომლის ნაწილი უნდა მოხმარდეს დარგის განვითარებას, ნერგის შეძენას, ფართობების შემოკავება-დაცვას, ასევე მატერიალურ წახალისებას. იმ მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც ამ დარგის განვითარებას სათანადო ყურადღებას აქცევენ, გამოყავთ ნ ყიდულობენ თუთის ნერგს. შოწინავე მეაბრეშუმეებს მატერიალური წახალისების მიზნით აძლევენ პრემიებს. ასე მოიქცნენ ლასურიაშის, ცაგერისა და ჩხუტელის კოლმეურნეობის გამგეობები და მეაბრეშუმეებიც კმაყოფილი არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ასე არ იქცევიან. ამის დასადასტურებლად მეაბრეშუმეთა აღნიშნული განცხადებაც კმარა. უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში საერთოდ ძალზე მცირეა აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ სოფლებში ზედა ოყურეშსა და ისუნდერში, სადაც საერთოდ არ ხდება თუთის ნერგის გაშენება და თვით მეურნეობის ხელმძღვანელები დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან აბრეშუმის ჭიის გაცემაზე. ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას აქვს დებულებაში მითითება პრემიების გაცემაზე, მათ შორის კი ადმინისტრაციაზე და ადმინისტრაცია პრემიებს იღებს სწორედ ფასდანამატიდან, რომელიც მეაბრეშუმეობიდან იქნა მიღებული.

ამავე განცხადებაზე მიღებულ იქნა ასევე აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ბუღალტრის მ. უჩაძის პასუხი, რომელიც გვწერს, რომ უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციას მიეცა მითითება მეურნეობაში არსებული საბრემიო ფონდიდან ოთხეულ მეაბრეშუმეზე გასცეს გეგმის გადაჭარბებისათვის 50 პროცენტი.

რედაქცია მეაბრეშუმეთა განცხადებაზე პასუხს ახლა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებისაგან ელის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადატანილ იქნეს დასვენების დღე 1990 წლის 29 აპრილიდან, კვირა დღიდან 30 აპრილს — ორშაბათს, ხოლო 28 აპრილი — შაბათი ჩაითვალოს სამუშაო დღედ და მუშაკებს მიეცეთ სხვა დასვენების დღე ან აუნაზღაურდეთ ამ დღეს მუშაობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ნებადართულია აგრეთვე მუშაკის სურვილისამებრ ეს დღე დაემატოს ყოველწლიურ შვებულებას შესაბამისი ანაზღაურებით.

რომ არავინ და არაფერი დავივიწყოთ

ოღელვარე დღეთა ფურცლები

რაიონული გაზეთი „ლეჩხუმი" მიმდინარე წლის 6 იანვარს მკითხველებს აუწყებდა, რომ ცაგერის რაიონის მშრომელებმა კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს—გამოვიდა ქვეყნის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის, პარტიული მუშაკის, ახლა კი სახალხო განათლების მეთოდური კაბინეტის გამგის ლევან ალექსანდრეს ძე ჩიჭოვანის წიგნი „ცაგერის რაიონის მშრომელები დიდ სამამულო ომში".

ამთავითვე ვიტყვით, რომ იგი ამ ომში ქართველი ხალხის, მისი შვილების გმირობის ამსახველი ლიტერატურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია, მით უფრო ახლა, როცა უკვე მოახლოვებულია ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 45 წლისთავი.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, ბატონო ლევან!

დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ 1941-1945 წლების სამამულო ომში. იგივე ითქმის მის ერთ-ერთ რაიონზე—ცაგერზეც. თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, რომ ფრონტზე ჯარისკაცი არ გაეგზავნა. მრავალი მათგანი ველარ დაუბრუნდა ქართულ მიწას, მშობლიურ კერას... მაგრამ ჭეშმარიტად არავინ და არაფერია დავიწყებული, ბევრი კი დაბრუნდა ვალმოხდილი და დღესაც მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს სამშობლოს, ოჯახის სამსახურს. სწორედ ამაზე, აგრეთვე ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის ზურგის მშრომელთა თავდადებულ გარჯაზეა მოთხრობილი აღნიშნულ წიგნში. აქამდე ხომ ცალკე ნაშრომი დიდ სამამულო ომში ცაგერის რაიონის მშრომელთა მონაწილეობის შესახებ არ არსებობდა. როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი, იგი ავტორს მოუმზადებია საარქივო მასალებისა და დოკუმენტების, მემუარული ლიტერატურის, ყურნალ-გაზეთების, ომის მონაწილეთა მოგონებების საფუძველზე და მასში ასახულია ომის წლებში ცაგერის რაიონის მშრომელთა შემართება და თავდადება, ომში გაწვეულთა მამაცობა და გმირობა, ნაჩვენებია ის წვლილი, რაც რაიონის მშრომელებმა შეიტანეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

წიგნის ტირაჟია 3000 და, ცხადია, მას ყველას ხელი ვერ მიწვდება. ამიტომ მკითხველებს ვთავაზობთ მნიშვნელოვან ადგილებს წიგნის ცალკეული თავებიდან.

სამშობლოს დაძახილზე

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათსა და 30 წუთზე, როცა ადამიანებს მშვიდობიანად ეძინათ, ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას...

—22-23 ივნისს რაიონის ყველა სოფელში ჩატარდა მშრომელთა კრებები და მიტინგები. ისინი პირობას სდებდნენ, რომ სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოლებდნენ, გაორკეცებული ენერგიით იმუშავებდნენ სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად, მტერზე გამარჯვებისათვის.

—ომის პირველ დღეებში რაიონის სამხედრო კომისარიატს უამრავი ხალხი მოაწყდა. ეზოში ტევა არ იყო. ყველას სურდა ფრონტზე წასვლა. კომისარიატის მუშაკები ველარ აუდიოდნენ ახალგაზრდების მიღებას, გასაწვევთა საბუთების გაფორმებას. მოდიოდნენ ისინიც, ვისაც არ ეხებოდა—სკოლის მასწავლებლებიც კი.

—ცაგერმა, ამ პატარა რაიონმა, რომლის მოსახლეობა ომის წინ 29 ათასს არ აღემატებოდა, სამშობლოს დასაცავად გაგზავნა 7000-მდე მებრძოლი. ასობით იანგარიშება ოჯახები, რომლებმაც ფრონტზე სამი და მეტი შვილი გაგზავნეს. აი ზოგიერთი მათგანი (ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია): ზოგიშელმა კოლმეურნემ ფარნაოზ ჭოხონელიძემ ექვსი შვილიდან ექვსივე ფრონტზე გაისტუმრა. 6-6 შვილი გაგზავნეს სამშობლოს დასაცავად აგრეთვე ლაილაშელმა დავით გურგუჩიანმა და უსახელოელმა ივანე თვარაძემ; 5-5 შვილი ზარაგულელმა სანდრო კოპალიანმა, ღვირიშელმა დავით ჩხეტიანმა, ისუნდრელებმა ერმილე მამარდაშვილმა და ივანე კუხალაშვილმა, საირმელმა ვლორგი ალავიძემ, უსახელოელმა ოსია გუგავამ, ზოგიშელმა ანთიმოზ სილაგაძემ და სემინარ ხვადაგიანმა; 4-4 შვილი ნაკურალეშელმა კოლმეურნეებმა ამბაკო, ალექსი, დიანოზ ყურაშვილებმა, კოსტა ბურჯალიანმა, ილარიონ გოლეთიანმა, გვესოელმა ბეგლარ ჩიქოვანმა და კოლია გოლეთიანმა, ჩხუტელელმა ნესტორ მურცხვალაძემ, ლასხანელმა ივანე სილაგაძემ, ლეშკედელმა გოგი ახვლედიანმა, ცხუკუშერელმა თადაოზ ჩიქოვანმა, საირმელმა მარკოზ ალავიძემ, ზოგიშელმა ბიქტორ გოქაძემ, წიფერჩელმა ბერუკა ხაბულიანმა, ლუხვანელმა მელიტონ ლეთოდიანმა, ზარაგულელმა სოლომონ კოპალიანმა, ღვირიშელმა მაქსიმე ხეცურიანმა და სხვებმა. სამშობლოს დაცვის საქმეს შეეწირა დეხვირელი კოლმეურნის სამსონ ჭაბუკიანის და ზოგიშელი ივანე გოქაძის 4-4 ვაჟი. ერთიმეორის მიყოლებით გაეშურნენ სამშობლოს დასაცავად ძმები: ბესარიონ, სერგო, მიშა, ქუჩუკი ერისტოს ძე, მიშა, ანგია, ამბროსი, ვალოდია დავითის ძე დაშნიანები, ინდიკო, დომენტი, მიხეილ, ანგია ნესტორის ძე მურცხვალაძეები (ჩხუტელი), კოწია, ვალერიან, ლევან, კაპიტონ ალექსანდრეს ძე ჩიქოვანები, ვალერიან, მიშა, პართენ ნესტორის ძე, გრიგოლ ვაჭარა, ნიკო, იასონის ძე ბერიძეები (გვესო), ბიქტორ, დგომა, ვალოდია, ვასილ ეფრემის ძე ქარსელაძეები (თაბორი), ერმილე, გერონტი, ვარლამ, აკაკი იოსების ძე ბენიძეები, რომან, ბიქტორ, კაკო, გედეონ იოსების ძე ყურაშვილები (სანორჩი) და სხვები. ზოგიშელმა მიხა არტემის ძე მოწონელიძემ ფრონტზე ორი ვაჟი გაგზავნა, შემდეგ თვითონაც გაჰყვა ნათ „გზას. ყირიმში ბრძოლის დროს გმირის სიკვდილით დაეცა ლუხვანელი იაკობ საღინაძე. ხოლო მისი ორი შვილი ტერენტი და რაფიელი ბრძოლას განაგრძობდნენ და თავგანწირულად იცავდნენ საბჭოთა მიწა-წყალს. ჩრდილო კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში ცხუკუშერელ ბიკენტი სვანიძეს გვერდში ედგა ძის ორი ვაჟი ტოგო და ეორესი. ერთ დღეს გაიწვიეს საბჭოთა არმიაში მამა-შვილი, დიმიტრი და, სემინარ მეშველიანები. ისინი გვერდიგვერდ მამაცურად ებრძოდნენ გერმანელ ყაჩაღებს. ერთ-ერთ ბრძოლაში სემინარი ყუმბარის ნამსხვრევებმა დაფლითა. მამამ თავისი ხელით გაუთხარა სამარე შვილს. შურისძიების გრძნობით ანთებულმა დიმიტრიმ ბოლომდე სდია ფაშისტებს, ვარშავაში იზეიმა მტერზე გამარჯვება და ვალმოხდილი დაუბრუნდა თავის მშობლიურ კერას...

ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დასაცავად გაეშურნენ ქალებიც, ფაშისტების წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდნენ, დაჭრილებსა და ავადმყოფებს მკურნალობდნენ.

(გაგრძელება იქნება).

როცა ბუნებაც გვერდზე გაგვიდგა

ორბელში გვითხრეს, სოფელ წილამიერში ასვლა გაგიჭირდებათ, მეწყერი ჩამოწვა და გზები არ ვარგაო. სიმართლე გითხრათ, ორბელელთა ნათქვამი მხოლოდ გაფრთხილებად ჩავთვალეთ და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაიმედებული გავუდექით. სულ მცირედი მანძილი გავლიეთ მანქანით, და შემდეგ თითქმის ერთ კილომეტრზე საცალფეხო ბილიკით ვიარეთ. მეწყერი სოფელს სახიფათოდ დასწოლია, დაძრულა და ეს ჩვენი, მართლაცდა პირველყოფილი მშვენიერებით დასაჩუქრებული მთა-მდელო ჩასანთქმად გაუწირია. რა ღმერთი გაგვიწყრა? ჯერ იყო და მიგრაციამ გაგვიხადა სანატრელი სოფლის ერთგული, ახლა ბუნებაც გვერდზე გაგვიდგა... არადა მტკივნეულად ძნელია შეეგუო, რომ ამ მზის გულზე შეფენილ ვენახებს, თუ გაზაფხულის სიმწვანით მორთულ მინდვრებს შეიძლება მომვლელი და გამრჯე პატრონი მოაკლდეს.

სოფლის შარაზე მიმავალნი გზის მახლობლად ჩარიგებულ სახლებს ვათვალიერებთ, ყველგან არა, მაგრამ უმეტესად კერაგაღვივებული ოჯახების ცხოვრების რიტმს ვგრძნობთ.

მწვანეთი მორთულ ეზოში, სამზადის წინ, ორი ტაბილად მოუბარი მოხუცი შევნიშნეთ. ჭიშკარი შევაღეთ და მასპინძელს ვუხმეთ. სტუმრის გამოჩენისთანავე მოხუცთათვის უჩვეულო სისწრაფით გამოეშურნენ.—რომ ვერ გიცანით ბაბუო?—შუბლზე ხელმოჩრდილულმა შეგვათვალიერა მოხუცმა, და უყოყმანოდ შეგვიპატიჟა. ასე გავიცანით ვალიკო ფალავანდიშვილი და მისი მეუღლე.

ტკბილმოუბარი აღმოჩნდა ვალიკო ბაბუა:

—მე ბაბუ, როგორც ჩემი ერა მოხუცმა, ბევრ საქმეზე ბევრ ადგილზე ბევრ ადამიანთან ბევრ ბევრ ბევრ ... ...

ზეიმი, რომელიც არასოდეს დამთავრდება

14 აპრილს —ქართული ენის დღეს, მრავალი თბილისელი დაესწრო სანაპიროზე, დედაენის ძეგლთან გამართულ ზეიმს, იგი ერთგვარი შეჯამებაც იყო იმისა, თუ როგორ ვიცავთ, ვუფრთხილდებით და ვუვლით ენას. სწორედ ამას გაუსვა ხაზი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ მიტინგის გახსნისას, მან ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რასაც ხელისუფლება ახორციელებს ქართული ენის სიწმინდის დასაცავად, მისი სახელმწიფოებრივი სტატუსის განსამტკიცებლად. მადლობა გადაუხადა დედაქალაქის არაქართველი მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც ჯეროვანი პატივისცემით ეპყრობა ქართულ ენას, სწავლობს და უფრთხილდება მას. გაიხსენა 1978 წლის მღელვარე 14 აპრილი, როდესაც ქართველი ხალხი ერთიანად აღდგა მშობლიური ენის დასაცავად, არავის დაანება მისი ხელყოფა.

მიტინგი დამთავრდა, მაგრამ ქართული ენის ზეიმი არ დამთავრებულა.

სკოლა და ცხოვრება

მასწავლებელი

უველა მასწავლებელმა იცის, რომ მისთვის მთავარია ასწავლოს მოსწავლეს ცოდნის მოპოვება, გამოაღვიძოს მოსწავლეში ცოდნის წყურვილი, აღზარდოს მასში სურვილი ეძებოს და დაეუფლოს მეცნიერების საფუძვლებს, მიაღწიოს, რომ ბავშვები სკოლაში ნიშნებისათვის კი არ მოდიოდნენ, არამედ მოვიდნენ ცოდნის მისაღებად.

ახლა ბევრს გავიძახით რეფორმისა და გარდაქმნის თაობაზე, მაგრამ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ბევრი ხარვეზია. ახალგაზრდობა უცბად შეიცვალა, ადრე, როცა საერთო სახელმწიფო დისციპლინა მაღალ დონეზე იდგა, მიჩვეული ვიყავით მორჩილ, თავდახრილ ბავშვებს, რომლებიც ხმას არ იღებდნენ და ყველაფერს გვისმენდნენ. გაკვეთილების შემდეგ სახლში მიდიოდნენ, დავალებებს ასრულებდნენ, გაკვეთილებისათვის ემზადებოდნენ.

ახლა სხვა დროა. მოსწავლეები მიტინგებზე დადიან, სხვადასხვა მსვლელობებში მონაწილეობენ. ესწრებიან შეკრებებს, სხდომებს. ეს კი რატომღაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსწავლეები აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს. ჯერჯერობით არავინ ამბობს იმის შესახებ, თუ რა ზიანს აყენებს ეს ამბები სასწავლო პროცესს. აფერხებს თუ არა კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, იმ ადამიანების აღზრდას, რომლებმაც უნდა იკისრონ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სრული სუვერენიტეტის არც ისე იოლადსატარებელი უღელი.

ახლა ჩვენს ქვეყანაში მძიმე, დაძაბული მდგომარეობაა. სწრაფად იცვლება სიტუაციები. რა თქმა უნდა, სკოლა ვერ გაემიჯნება საზოგადოებას, მაგრამ სკოლაში ძვრები ნელა, აუჩქარებლად მიმდინარეობს. წარმოუდგენლად სწრაფად იზრდება მასწავლებლის ემოციური დატვირთვა. ამას ყველა ვერ უძლებს და ნერვიულობს. ძნელია ცვალებადი სიტუაციებიდან სწორი გამოსავლის დროულად და ზუსტად მიგნება.

უახლოეს წარსულში ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ დადგებოდა დრო, როცა მოსწავლე სკოლის, საზოგადოების ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე პასუხს მოითხოვდა და თავადაც შეეცდებოდა ამ პასუხის მოძებნას. ეს დღეც მოვიდა. მოზარდები ფიქრობენ, ეძებენ კიდეც. უნდა დავეხმაროთ პოვნაში, მაგრამ როგორ?

ამ კითხვაზე პასუხი და ისიც ერთიანი ჯერჯერობით არ ჩანს. რატომღაც პედაგოგიური მეცნიერება ამის თაობაზე არაფერს ამბობს.

დღეს კი ასე დგას საკითხი, ჩვენი ქვეყნის ბედი, მომავლის ბედი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი თაობა აღიზრდება. ახლა მთავარია ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრა, ეს ხომ ბოლო დროს სასტიკად გამწვავდა, მოხშირდა ადრე მეგობრულად შეხმატკბილებული სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის შეხლა-შემოხლა.

ექსტრემისტულმა ელემენტებმა თავი წამოყვეს, ისინი საქართველოს ერთიანობის ნგრევისაკენ მოუწოდებენ მცირე ერებს. საუკუნეთა მანძილზე დაულალავი გარჯით მოპოვებულ ერთობას რღვევის საფრთხე დაემუქრა. ამ საქმეში რომ წესი და რიგი დამყარდეს, ბევრი რამ არის დამოკიდებული სკოლასა და მასწავლებელზე.

გამოსავალი ერთია. პედაგოგიურმა კოლექტივმა ყოველგვარი ოფიციალური რეკომენდაციების გარეშე, ჩვენივე ძალებით მივაღწიოთ იმას, რომ უყურადღებოდ და უპასუხოდ არ დავტოვოთ მოსწავლეთა არც ერთი კანონიერი მოთხოვნა, სურვილი, საქმიანი წინადადება. უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესების სრულყოფას. სახალხო განათლების მუშაკთა მთელი ყურადღება უნდა გაძლიერდეს იმ მიზნით, რომ ჩვენს მომავალს, იმედს, იმათ, ვინც ხვალ ცხოვრების ფერხულში უნდა ჩაებან, იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შევუქმნათ ყველა პირობა მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის.

ბევრს მიაჩნია, საკმარისია სკოლას ვუცვალოთ სახე, აღზრდის სისტემა შევცვალოთ და ყველაფერი შეიცვლებაო. მართალია, ცხოვრება იცვლება და სკოლაც იცვლება, მაგრამ სკოლა ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მასწავლებელი საქმით გახდეს სახელმწიფოს მთავარი მოხელე, გონიერების და სიკეთის ბეშმარიტი მთესველი. ხოლო სახელმწიფომ პედაგოგებზე მეტი უნდა იზრუნოს და უკეთესი პირობები შეუქმნას შრომისა და ყოფა-ცხოვრებისათვის, რაც ჯერჯერობით არ იგრძნობა.

გ. თუთისანი,
ბარდნალის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ჩვენ გვწერენ

მაღლობას იმსახურებს

როინ გიჟტორის ძე საღინაძე შრომისმოყვარე ოჯახში აღიზარდა. იგი საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში გვერდით ედგა მშობლებს, თოხნიდა, თიბავდა, საკვებს ამზადებდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცაგერის კოლმეურნეობაში შრომობდა. ახალგაზრდა კაცის მიზანი იყო გამხდარიყო ვეტექიმი. ახალგაზრდა კოლმეურნეს კოლმეურნეობამაც შეუწყო ხელი, ლიმიტი მისცა თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ჩასარიცხად. ასე გახდა იგი სტუდენტი.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ახალგაზრდა სპეციალისტი ამჟამად ოყურეშის ვეტუბნის გამგეა.

სამსახურებრივად მას არ ევალება ლუხვანოს მოსახლეობის პირუტყვის მკურნალობა, მაგრამ, როგორც ჩვენი მეზობელი, თავის ცოდნას და შესაძლებლობას არ იშურებს დახმარება აღმოგვიჩინოს.

პირადად ჩემი ოჯახისათვის და ალბათ ბევრისთვის შინაურ პირუტყვს საარსებო მნიშვნელობა აქვს. მყავს მეორე ჯგუფის ინვალიდი დედა, რომლის კვების ძირითად წყაროს რძე წარმოადგენს. ძროხა ავად გაგვიხდა, როინ საღინაძე 13 დღის განმავლობაში ყოველ დილით სამსახურში წასვლამდე და საღამოთი სამსახურიდან დაბრუნებული მკურნალობდა.

მინდა მადლობა გადაეუხადო როინს იმისათვის, რომ უყვარს თავისი საქმე და ადამიანები.

გრიშა კოპალიანი,
სოფელი ლუხვანო.

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის

სიბრძნე მგოსნისა

ქართველი ხალხის უკვდავ მგოსანს, აკაკის მრავალ ჟანრში უწერია და შეუქმნია ბრწყინვალე შედევრები. მისი მახვილსიტყვაობა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, აკაკის თანამედროვენი რომ ავრცელებდნენ ხალხში. არიან ისეთებიც, რომლებმაც მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაზე შემოინახეს საინტერესო ჩანაწერები—ამ მხრივ აღსანიშნავია იონა მეუნარგიას ღვაწლი, მას ბევრი მასალა შეუგროვებია და დაუწერია ერის სახელოვან შვილებზე: ილიაზე, აკაკიზე, გრიგოლ ორბელიანსა და სხვებზე. ეს მასალები 1957 წელს პროფესორმა ს. ხუციშვილმა გამოსცა. ახლა, როცა ფართოდ არის გაშლილი მზადება პოეტის დაბადების 150 წლისთავისათვის, კარგი იქნება გავიხსენოთ აკაკიზე დღემდე ნაკლებად ცნობილი მასალები. ასეთია კითხვა-პასუხი იონასა და აკაკის შორის. ასეთი ლაკონური პასუხებით ჩვენ ვწვდებით პოეტის სულიერ სამყაროს, მის ზნეობრივ სარკეს—ასე ნათლად თავისი სახე შემოქმედმა შეიძლება ათობით ნაშრომში ვერ გამოავლინოს. იგი დღევანდელ მოვლენებსაც ეხმაურება. მოგვყავს აკაკისეული სიბრძნის რამდენიმე ნიმუში:

—რომელი თვისება უფრო მოგწონს კაცისა?—მამაცური სულგრძელობა.

—რომელი თვისება მოგწონს ქალის?— გულწრფელი დაუდგრომლობა.

—რას უფრო გინდა აკეთებდე?—მისთანა საქმეს, რომელიც თავაშვებულს ჰლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდეს.

—რით განსხვავდება თქვენი ხასიათი?—საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.

—რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება?—გარემოს ატანა.

—რომელია ყველაზე დიდი უბედურება? —გულუმაძღრობა.

—რა ფერი უფრო გიყვართ? —დროზე მოხდენილი.

—რა ყვავილი?—ვარდი.

—შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყო? —მაინც აკაკი.

—სად უფრო გინდა ცხოვრობდე?—ყველგან და არსად.

—რომელი პროზა უფრო მოგწონს?—არდაზიანისა.

—რომლის პოეზია?—გურამიშვილისა.

—ვინ უფრო მოგწონს კაცთაგან ისტორიაში?—გიორგი ბრწყინვალე.

—რომანში ვინ გირჩევნია კაცთაგან? —ავთანდილი.

—ქალთაგან ვინ მოგწონს რომანში?—ნესტან დარეჯანი.

—რა სახელი უფრო გიყვარს? —ელენე და არჩილი.

—რა უფრო გძულს ქვეყანაზე?—წვრილმანობა.

—რა შეცდომას უფრო აპატიებ კაცს? ყოველგვარს, თუ მოინანიებს.

—ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი ქუთაისში?—ის, რომელიც მე შემიყვარდება.

—რა სასმელს უფრო ეწყობი?—წყალს.

შენი ცხოვრების დევიზი რა არის?—შრომა და მოთმინება.

ყველა პასუხი დიდი აკაკისეული სიბრძნითაა დატვირთული.

ჯ. საღინაძე.



ქუთაისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის ანგარიშზეა წლის განმავლობაში გამოშვებული ათი ათასობით მეტრი ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმი. ქსოვილი გამოირჩევა კარგი ხარისხით, სასიამოვნო შეფერილობით. ყოველივე ამას მიაღწიეს უახლესი მოწყობილობის დანერგვით.

ქუთაისელ მქსოველებს მჭიდრო საქმიანი კონტაქტები აქვთ საზღვარგარეთის მთელ რიგ ფირმებთან. მათი პროდუქცია უკვე გავიდა საერთაშორისო ბაზარზე—პოლონეთში, ჩინეთში, იაპონიაში.

პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე ნატურალურ აბრეშუმს „მაიას“ ოქროს მედალი მიენიჭა.

სურათზე: საქსოვ საამქროში დამონტაჟებული ახალი ჩეხოსლოვაკიური დაზგები.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

„ეკოტასი“: მსოფლიო ბაზრის მაჯისცემა

კონიუნქტურა და მსოფლიო ბაზრის ფასები—ასეთი რუბრიკით საცნობარო მასალების რეგულარულ გამოშვებას იწყებს ეკონომიკური და კომერციული ინფორმაციის ყოველდღიური მომამბე „ეკოტასი“. იგი შეიქმნა პირველ რიგში იმ თითქმის ცამეტი ათასი საბჭოთა საწარმოს ინტერესისათვის, რომლებმაც უფლება მიიღეს გავიდნენ საგარეო ბაზარზე.

ყველა მათგანს ახლა ძალზე სჭირდება ასეთი ინფორმაცია. „ეკოტასი“ ამჟამად ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც უნარი შესწევს მიაწოდოს ინფორმაცია ოპერატიულად, რაც ასე მნიშვნელოვანია ფასების მუდმივი მერყეობის პირობებში და რეგულარულად.

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც „ეკოტასის“ მომამბე გამოდის. იგი დიდი ხანია პოპულარულია უცხოელ ბიზნესმენთა და საბჭოთა ექსპერტებს შორის ეკონომიკის, საბანკო საქმისა და საგარეო ვაჭრობის სფეროში — სწორედ ამ აუდიტორიისათვის არის გათვალისწინებული. ხელმომწერლებმა შეაფასეს გამოქვეყნებული ინფორმაციის ოპერატიულობა და სრულყოფილება.

წლიური ხელმოწერა განახლებულ „ეკოტასზე“, რომელსაც პაკეტში აქვს უცხოური ეკონომიკური პრესის მიმოხილვა, ღირს 1500 მანეთი. ყველას, ვისაც დააინტერესებს მომამბე, შეუძლია მიმართოს მისამართზე: 103009, მოსკოვი, ტვერის ბულვარი, 10-12, ეკოტასი, ტელ: 229-28-64, 202-01-73.

საკდესის კორ.

ფენომენი ნინო ჭანტურია

საქართველოს სსრ. ცენტრალური ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაში ნაჩვენები იყო ვიდეოსიუჟეტი გოგონას განსაცვიფრებელ შესაძლებლობებზე, რომელსაც ხელის გულზე შეეძლო ვერტიკალურ მდგომარეობაში დაეჭირა ლითონის საგნები.

როცა სოხუმის №16 საშუალო სკოლის მესამეკლასელმა ნინო ჭანტურიამ ეკრანზე შეხედა თანატოლს, გადაწყვიტა თვითონაც ეცადა: მიიდო ხელის გულზე კოვზი — არ ჩამოვარდა! მაშინ ნინომ სცადა რამდენიმე კოვზი აიღო და დარწმუნდა, რომ არცერთი არ ვარდებოდა, აიღო უთო... და არც ის ჩამოვარდნილა!

— ჩემს შვილს აწუხებს ალერგიული დავადებები, მაგრამ ასეთი შესაძლებლობები მისგან ოჯახში არავის შეგვიმჩნევია, — ამბობს ნინოს დედა სულიკო ჭანტურია.

სურათზე: ნინო ჭანტურია თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებისას.

ვილოცავთ

ინეზა ალექსანდრეს ასულ მოლოდინაშვილს

გილოცავთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მონიჭებას.

კვლავ წარმატებებს გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ საქმეში, ჯანმრთელობას და სიხარულს პირად ცხოვრებაში.

ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის, კულტურის განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიის თანამშრომლები.

ციცა დავითის ასულ ლეშკაშელს
კახა შალვას ძე კვირიკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. სვებედნიერი და ღვთითკურთხეული ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. დაგბედებოდეთ ძეთა სიმრავლე.

გიორგი (ბუჭუ) კვირიკაშვილი, ჯაბა მსხვილიძე, გოჩა სიმსივე ოჯახებით.

ჭეთინო ჯანუგის ასულ ხვადაგიანს
გოჩა ასკალონის ძე მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი, შვილმრავალი ოჯახი!

ნელი ჯანელიძე, რეზო ლიპარტელიანი, იური ჩხეტიანი, შოთა ნემსწვერიძე ოჯახებით.

დალი ვარლამის ასულ დაშნიანს
მევლუდ შოთას ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შემატებოდეს მრავალი და-ძმა ერის საკეთილდღეოდ.

მეზობლები დავით კოპალიანი, ანზორ სილაგაძე, რაფიელ ნემსწვერიძე, ნიკოლოზ ხვადაგიანი, მარგალიტა შკუბულიანი, შოთა ახვლედიანი ოჯახებით.

დალი ვარლამის ასულ დაშნიანს
მევლუდ შოთას ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე.

მეზობლები ემზარ, გურამ, მერაბ გუგავები, ზაური, ვიტალი ლაზარიანები, ჭიჭიკო გურული, მურთაზ ახვლედიანი ოჯახებით.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

შვილები ალეკო, ლია ჩიქოვანები, რძალი მაყვალა კოპალიანი, შვილიშვილები ნანა, მირიან, ნათია ჩიქოვანები, სოსო ჯინჭარაძე, სიძე მერაბ გუგავა, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ირაკლის ასული
ცხვედიანი-ჩიქოვანი.

დაკრძალვა 21 აპრილს, შაბათს, დღის 4 საათზე, სოფელ ტვიშში.

მეუღლე სერნო, შვილები გელა, ნელი, რამაზი, რიმა, ზოია, ცირა, ძმა გივი, რძლები რუსუდან ჭიჭიაშვილი, შურა ჭოხონელიძე, ქეთინო ბენდელიანი, ნესტან გიორგობიანი, სიძეები ზურაბ თუთისანი, ელვარდ გორგიძე, გიზო მუშკუდიანი, ცოლისდა ზინა, ქვისლი გიორგი სვანიძე, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი გიორგის ძე ცხვედიანი.

დაკრძალვა 21 აპრილს, შაბათს სოფ. მახაშში.

უჩა, ალექსანდრე, აქვსენტი, ბორის გოლეთიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე ცვარიანი.

მეუღლე დოტი, დედა ქუჟუნა, დედამთილი ბაბი, შვილები მურმანი, მურთაზი, ბესიკი, რძლები მაია, ნუნუ, შვილიშვილები გიორგი, თინიკო, მელები მელუში, შაში, გაფინა, გულო, ძმები ნოდარი, ბიჭიკო, ზურაბი, რძლები ქუჟუნა, ანია, ელიკო, ბიძაშვილები, ძამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია პლატონის ასული
ზურაბიანი-გულბანი.

დაკრძალვა 21 აპრილს, შაბათს, ქ. ცაგერში.

ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ირაკლის ასული ჩიქოვანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფათქუ, მირიან ახვლედიანები თანაუგრძნობენ ზოია ცხვედიანს მამის

აკაკი ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

გიორგი სვანიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

აკაკი გიორგის ძე ცხვედიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის VI-ბ კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ კლასის ხელმძღვანელს მაყვალა კოპალიანს დედამთილის

ანა ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

სამსონ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ანა ირაკლის ასული ჩიქოვანი.

კავშირგაბმულობის რაიონული კავშირის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სულიკო საღინაძეს მამის

გალაქტიონ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რამაზ, ნესტან ცხვედიანებს მამისა და მამამთილის

აკაკი გიორგის ძე
ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის VI-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა კოპალიანი თანაუგრძნობენ ლანა, გაგა ბერიძეებს ბაბუის

გალაქტიონ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ეორა გიორგობიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

აკაკი გიორგის ძე ცხვედიანი.

დავით კაპიტოს ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე საღინაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების, დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალექსი ჩიქოვანს დედის

ანა ირაკლის ასული
ცხვედიანი-ჩიქოვანის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები ჯაბო დავითულიანი, ვახტანგ ომანაძე, ბუჭუ გურული, შალვა ყურაშვილი, ანზორ კვირკაშვილი, გურამ ლიპარტელიანი, ზინა გურული, რუსიკო ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ საღინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების, დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რიმა და ზურაბ თუთისანებს მამისა და სიმამრის

აკაკი გიორგის ძე ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

კაკო, დიმიტრი მურცხვალაძეები, შოთა ბურჯალიანი, თამაზ გუგავა, მამუკა სვანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე საღინაძე.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქუჟუნა და გულო ცვარიანებს მულისა და მამიდის

გალინე ცვარიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა, ნიურა საღინაძეები, დადაში ჩაკვეტაძე, გრიშა ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალაქტიონ არსენის ძე საღინაძე.

შიო ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს მარინე და რამაზ საღინაძეებს მამის

გალაქტიონ არსენის ძე საღინაძის

გარდაცვალების გამო.

№1 40-ბინიანი სახლის მე-4 სადარბაზოს მცხოვრებლები თანაუგრძნობენ რიმა, ზურაბ თუთისანებს მამისა და სიმამრის

აკაკი ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.